



„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი!“ ამოღებულია კრებულ „მერანიდან“.

აკაკის დაუბავდავი ლექსი

## ნათლიებს

დავით ზაქარიას ქან სარაჯიშვილს—ნიკოსაგან\*)

დიდი ხანია ქართველი ანგრევს,  
არ თუ აკეთებს და აგებს რამეს!..  
გამოურკვეველად, პირდაღებულად,  
ხარბად შეჰყურებს სხვების სიაშეს.

გულსა და თვალს სჭრის მისი მეზობლის  
კეთილდღეობა და წარმატება.  
და მისი ქნარიც სხვებისათვის ჟღერს:  
გაისმის სხვების „ქებათა-ქება“.

თითქოს ამითი სურს, რომ თავის ვრს  
მოთხოვნილება გააგებინოს  
და მაგალითიც მეზობლებისგან  
დაბეჩაგებულს ააღებინოს.

მაგრამ ამაოდ! მარტო ეს არის  
განა დღეს ჩვენი გულის ტკივილი?  
ვინც რომ ყველაზე ნამეტანს ჰყვიროს,  
ის არის ჩვენში „მამულის შვილი“.

და ამნაირად გადავიქცით  
ჩვენ მხოლოდ სიტყვად და მხოლოდ ენად!  
ვყვირით იქ, სადაც გადის ყვირილი,  
ჩვენივე თავის გამოსაჩენად!..

რა გამოვიდა ცარიელ სიტყვით,  
თუ არ აჯობა საქმემ, არ სძლია?  
მაგრამ საქმის კაცს ჩვენში ვერ ვხედავთ?  
იშვიათია, ჩემო ნათლია!..

და იმათ რიცხვში შენც ურევიხარ,  
ჩუმი მომქმედი და უსიტყველი.  
ბუნებას შენში გამოუხატავს  
დარბაისელი ძველი ქართველი!

დღეს ჩვენში ყველა ანგრევს და ჰყიდის,  
რაც დაგვრჩენია ანდერძად ძველად!  
და სასყიდელსაც სამაგიეროს  
ალარას ვეძებთ!.. ალარას ველით!..—

შენ-კი, ნათლიავ, არ თუ არ ჰკარგავ,  
ხარ ძველებურად მხოლოდ შემძენი!  
და სოფლის ბრუნვას შეჰყურებ ისე,  
ვით გამოცდილი მოხუცი, ბრძენი...

აი დღესაცა ამას გვიმტკიცებს  
ამ მშვენიერი სახლის აგება...  
ეს არის ჩვენი მომავალში ხსნა  
და მას ეკუთვნის „ქებათა-ქება“.

რომ ამ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ,  
ჩაჰკიდონ ხელი თავის მიწა-წყალს!..  
მაშინ-კი, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ,  
მოიმზადებენ კეთილ მომავალს!

შენი მეუღლეც უღლის გამწევი,  
თანამშრომელი არის, ნათლია,  
და იმიტომაც, რასაც აკეთებ,  
ყველგან სიმტკიცე, ყველგან მადლია.

იცოცხლეთ დიდხანს, იმხიარულეთ,  
საბედნიეროდ, ჩემო ნათლია!  
ის მოგცესთ ღმერთმა, და მით შეგიცოსთ,  
თუ დღეს თქვენს ოჯახს რამე აკლია!

1905 წ. 27 მარტს.

აკაკი.

\*) ეს ლექსი ნიკო მაჩაბელს (განო მაჩაბლის შვილს) და სარაჯიშვილის სახლის კურთხევის დღეს უთქვამს თავის ნათლიებისთვის; ეკატერინე და დავით სარაჯიშვილისათვის. ლექსი გადმოგვცა პატივცემულმა მანდილოსანმა ანასტასია მაჩაბლისამ.



**პორუჩიკი გაბრიელ დავითის ძე ხოფერია.**  
ქუთ. რეალურ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სამხედრო სასწავლებელში, სადაც სწავლა დაამთავრა 1914 წ. და პოდპორ. ჩინით შევიდა 154 დერბ. პოლკში. პირველი დღიდანვე მხურვალე მონაწილეობას იღებდა თათრებთან ბრძოლაში, რისთვისაც დაჯილდოვებულია აფიჯრის ყველა ორდენით წმ. ვლად. მე-4 ხარ. მოკლულ იქნა მამახათუნთან ბრძოლაში.

**ალექსანდრე არსენის ძე მატიაშვილი**  
გარდაიცვალა ბრძოლის ველზე, დარჩა სამასის თუნის ქონება, რომელიც გაანაწილეს მისმა ძმებმა ქართულ დაწესებულებათა სასარგებლოდ. (იხ. „საქართველო“ № 190.)

**პოდპორ. მიხეილი გლახუას ძე დოლაბერიძე.**  
29 ივნის ბაიბურთთან 8 ალაგას მძიმედ დაჭრილი იქნა, წარდგენილია პორუჩიკის ჩინზე, ნაბობები აქვს: სტანისლავის ჯვარი მესამე ხარისხისა ხმლით და ბანტით, მეოთხე ხარისხის ანნას ლენტი „სიმამაცისთვის“, წარდგენილია წმ. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ჯვარზე, ხმლით და ბანტით.

## დიდსულგვანი ქართველი კალი

(ნამდვილი ამბავი)

I

გათენდა ღვთისმშობლობა 15 მარტის დღეს 185... წელს. მშვენიერი მზიანი დღე დადგა სოფელ შილდის მცხოვრებნი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ რძალი, ლამაზად მორთულ-მოკაზმულნი, ყველანი ღვთისმშობლის ეკლესიისაკენ გაემართნენ, ტაძარში ხალხი მოწიწებით შედიოდა და გულმხურვალედ ლოცულობდა. ამ ეკლესიაში სიარული ხალხს უღლებოებოდაც უყვარდა ხოლმე, რადგან აქა მღვდლობდა ღვთისმშობლის მამა მათე, რომელმაც მშვენიერი წმინდა ქართული კილოიანი და სასიამოვნო წიგნალოცვა იცოდა.

ძალიან გულ-მისაველიანი მოძღვარი იყო მამა მათე; თვალად ტანად წარმოსადგენი ვაჟაკი, მეტყველი და მზიარული; მისი ცისფერი ტყვიანი თვალები თითქმის სულ ილიმებოდნენ და ადამიანს ნდობით თავისაკენ იზიდავდნენ; თეთრ-წითელ სასიამოვნო პირის კანს გრძელი წვერი ამშვენებდა. ის ყველას უყვარდა და ყველანი პატივს სცემდნენ. როცა წირვის შემდეგ მამა მათე ტაძრის გალავანში გამოვიდოდა ხოლმე, მრევლი შემოეხვეოდა, ღიმილით შესცქეროდა და სიამოვნებით ყურს უდებდა იმის მახვილ სიტყვა-პასუხს. ტაძარში იგი ნამდვილი მსახური იყო წმინდა ეკლესიისა და ხალხში საუკეთესო მობაასე და მზიარული მოლაპარაკე.

აი დღესაც, ღვთისმშობლობას, წირვის შემდეგ სალოცავად მოზღვავებული ხალხი ზოგი გალავანში მოთავსებულყო, ზოგი გალავანს გარედ, ჩეტის ხევის პირას, ფართო მოედანზე გაშლილიყო; ზოგი შემოსხდომოდნენ თავ-თავიანთ სუფრებს ურძიებს გვერდით და მზიარულად, უზრუნველად დროს ატარებდნენ; ზოგი მღეროდნენ, ზოგი დაირა-დოლაპიტოს უკრავდნენ და თამაშობდნენ; ახალგაზრდა ბიჭებს ერთ ადგილას ჭიდაობა გაემართათ და გარშემორტყმული ხალხი გულის ფანქვალით თვალს ადევნებდა მოჭიდავეთა ყოველ ფანდს და წაიქცეოდა

თუ არა რომელიმე მოჭიდავეთაგანი, ხალხი კვირას დასცემდა ხოლმე. ქართველი მილიციელები გალავანში თოფს სროლაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და წამლაუწუმ თოფებს ჯახაჯუხი გაჭიქნდა.

მამა მათეს ამ დღეობის გამო ჩაცვა ცისფერი ფარჩის მშვენიერი ანაფორა, დაიჭირა შვინდის ხისაგან ლამაზად გამოჭრილი ყავარჯენი და წირვის შემდეგ ესეც მოედანზე გამოსულიყო; გალავანის შორი-ახლოს ჩეტის ხევის პირას იდგა, საიდანაც მთის სუფთა, წყნარი ნაფი მოჭიქოდა. მამა მათესთან იდგნენ აგრედვე სოფელ შილდის ორი მღვდელი, მთავარი, დიაკონები და რამდენიმე მოწაფე მრევლთაგანი და სიცილ-ხარხარით ყურს უდებდნენ მამა მათეს, რომელიც რაღაც სასიამოვნო ამბავს უამბობდა მათ. სწორედ ამ დროს საიდგანდაც ვაგარდა თოფი, ტყვიამ სხეების თავებზედ გადიბზუვლა და მამა მათეს შიგ საფეთქელში მოპხვდა, რადგან თავით ყველაზედ მაღალი იყო. საყვარელ მოძღვარს სიტყვა მომღიმარ ტუჩებზედ შეუწყდა და ამოდენა ახვანი ადამიანი, ხმის ამოუღებელი, მუხლში მოკვეთილი დედამიწაზედ გადიშლართა გარშემორტყმულ ხალხის თვალწინ. ტყვიანაკრავ საფეთქელიდან უდიერად სისხლი სჩქვდა და ცისფერ ანაფორას წითლად აჭლებავდა.

ხალხი შეინძრა, შეშფოთდა, აღელდა; ზოგი მამა მათეს მისცვავდა საშველად, ზოგი წყალის მოსატანად გარბოდა, ზოგი მკვლელის საძებნელად ხალხში გაიფანტა.

II

მღვდლის ჯალაბს, ლამაზიანთ ქალს, მოხდენილ და კობტა წერწეტა ბარბარეს, რომელსაც მთელი სოფელი იცნობდა, როგორც ღვთისმშობლის კეთილ ადამიანს, ამ დღესასწაულის გამო ჩაცვა ლამაზი ქაითი, გაეკეთებინა ოქრომკედლით მოჭარბული სარტყელ-გულისპირი, ისეთივე თავსაკრავი და აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი წირვაზედ წასულიყო. წირვის შემდეგ თავადებს სხვა მანდილონებთან ერთად თავიანთთან მიეწვიათ დროს გასატარებლად.

როდესაც ესენი ტკბილ მუსაიდში იყვნენ გართულნი, უკბად მიიჭრა მათთან ერთი დიაკონთაგანი და მოწიწებით, გაუბედავად მოახსენა:

— მღვდლის ჯალაბო! ნუ-კი შეგეშინდებათ და მამა მათე უკბად ავად გახდა და თქვენა გკითხულობთ.

— რა იყო, დააკვანო, რა მოუვიდა? — ჰკითხა შეშფოთებულმა ბარბარემ.

— რა მოგახსენოთ, მგონი ტყვიამ ცოტათი შებლში გაჭიქნა და გული წაუვიდა...

— ვაიძე, თავო დაღუბული! — წამოიძახა ბარბარე; თუ ღმერთი გწამთ მიჰხედეთ, უშველეთ, მეც წამიყვანო, საით არის? რა ვქნა!? იმასთან ტყვიას რა უნდოდა?! რომელმა უღმერთომ დასჭრა?!.

ბარბარე მეხუთე შეილზედ ფეხმძიმედ იყო და ძლივს დადიოდა; ამიტომ საითაც ხალხი გარბოდა, ბარბარეც ნელის ნაბიჯით იქით წავიდა, თუმცა-კი რამოდენადაც შეეძლო, ისიც ფეხს აჩქარებდა. თან მანდილონებიც გაჰყვნენ მას.

გზა და გზა ხალხის ლაპარაკი ისმოდა. ზოგი ამბობდა: მამა მათე დაჭრილია, არა უშავს რაო, ზოგი ამბობდა გარდაიცვალაო, ზოგი — გულწასულიაო, მობოუნდებო და სხვა ამისთანები და ამების გაგონებაზედ ბარბარეს ხან იმედი ეძლეოდა და ხან სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ამასობაში როგორც იყო ძიიყვანეს ბარბარე მამა მათესთან, რომელიც იქვე ერთ დუქნის დერეფანში გაეტანათ და ტახტზედ დაეწვინათ; ხალხი ბუზივით ეხვევოდა, ღრინცელი გაჭიქნდა, ყველა თავის რჩევას იძლეოდა, მაგრამ შევლით კი ვერაფერა შეელოდა.

ბარბარემ ეს სურათი რო დაინახა, ერთი კი შეჭკვილა, მუშტი გულში გაირტყა და უგონობლად გარდაიქცა.

III

სანამ იმას მოასულიერებდნენ, გალავნიდან მამასასლის და სოფლის ხალხს მაჯებში მაგრა ხელებ-ჩაკიდებული ერთი მთვრალი მილიციელი მოჰყავდათ, რომლებსაც წინ დიამბეგი მოუძღოდათ მათრახით ხელში. მიიყვანეს ეს მილიციელი მამა მათეს-

თან; დიამბეგმა მღვდელზე მიუთითა და შეუტია; აბა შეხედე, შე ურჯულო, ეს რა ჰქენი, მღვდელს რად მოჰკალი?

სისხლში შეღებულ მღვდლის დანახვად და დიამბეგის სიტყვაზედ მილიციელს, თითქოს გამოფხიზლდა თვალები ძალზედ მოიფშვინტა, მიიხედ-მოიხედა, უცებ დაეცა მუხლებზე ცსედროს წინ და ევედრებოდა:

— მამაო მათე, მღვდლო, ტკბილო მღვდლო, მაპატიე, შენი ჭირიმე, მე არ მინდოდა! რა მტრობა მქონდა?! მაპატიე! მაპატიე!

და თან ვატივებულ ხელზედ ჰკოცნიდა, მაგრამ მამა მათე უკვე მშვიდად განისვენებდა, გარს რა ჰხდებოდა ველარასა ჰგონობდა და სდუმდა მისი ტკბილი და მახვილი ენა.

დიამბეგი მღვდლის ჯალაბის ბარბარეს გვერდით იდგა და ასულიერებდა მას; ძერე უცებ მილიციელს მათრახი მოუღერა დასარტყმელად, მაგრამ ბარბარემ თვალი მოჰკრა ამას და დიამბეგს მკლავში ხელი სტაცა, ნება არ მისცა, რომ დაერტყა, მხოლოდ სიმწარისაგან კი ხმას ვერ იღებდა. დიამბეგმა მოქვითინე მილიციელს კბილების კრეჭით თვალები გადაუბოიალა და მათრახის ქნევით დაემუქრა. მეტე მიუბრუნდა ბარბარეს და ანუგეზა: ეს საწყალი მღვდელი ამ მილიციელმა მოჰკლა, ამის პასუხს კანონი მოსთხოვს და მღვდლის წვრილ ცოლშვილის შენახვასაც ამას დაავალდებენ.

ამ სიტყვებზედ მილიციელი მოტრილდა ბარბარესაკენ, მის წინ პირქვე დაემხო და შეპბავლა:

— მაპატიე, დედი! ღმერთია მოწამე, კაცის მოკვლა მე არ მინდოდა; ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი, მე ნიშანში ვესროდი და არა მღვდელსა.


მილიციელი მწარედ სტიროდა და სილუბით თავისივე ხელით თავპირს იბეგვავდა. ბარბარე თავჩაღუნული ოჯახის დაღუპვაზედა ჰფიქრობდა და ლომა, უმწეო ფიქრებმა გაიტაცეს. მილიციელი სწვდა მას ფეხში და დაუწყო ფეხზედ კოცნა, თანა ყვაროდა:

— მაპატიე, დედი, მაპატიე! ან მეც მომკალით, რომ ამ საცოდაობას არ გუყურო! მომკალით, ჩამაქვავეთ...



† ლეო მხელინი

პროფესორი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ფინეთის სენატისა, რომელსაც ფინეთის ერმა მის ხანგრძლივ და ბრძნულ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის კაროლი უწოდა.



აქ მოთავსებულია ფინეთის სეიმი 1863 წლიდან ვიდრე 1907 წლამდე, როდესაც ოთხპალატიანი სეიმი გადაკეთებულ იქნა ერთპალატიანად და გადატანილ ახალ ბინაზე, სადაც დროებითაა მოთავსებული.



ბ. ე. სვიჭულა

ცნობილი ტალმანი (თავმჯდომარე) ფინეთის სეიმისა, რომელიც გადასახლებულ იქნა ციმბირში თავისი პროტესტანტული საქციელის გამო.

კოტა ხნის შემდეგ დაძმარებულ-დანაღვლიანებული ბარბარე მძიმე ნაბიჯით შინ წაიყვანეს. იქ ოთხ დაობლებულ წვრილ შვილის დანახვაზედ ბარბარეს საშინელი ტირილი აუვარდა. ბავშვებიც შემოეხვივნენ და დედისა და ხალხის ტირილზე ისინიც გულსაკლავადა სტიროდნენ, თუცა კი ჯერ ვერ გაეგოთ ვერაფერი და არ იცოდნენ რაში იყო საქმე. ასეთია ბავშვის ფსიხოლოგია: გაუღიმიებ-გავიციანებს და ტირილზედ ისიც ატირდება მიზეზთა განურჩევლად. მხოლოდ ბარბარეს მისვლისას თან რა საკაცეთი მიცვალებულიც მიასვენეს, მაშინ გაიგეს მამის სიკვდილი და ბავშვები უფრო ატირდნენ.

მამა მათე დიდის ქეთინითა და პატივით დასაფლავეს. რამდენიმე სოფლის სამღვდლოება და აუარებელი ხალხი დაესწრო.

IV

გავიდა მცირედი ხანი. ერთ დღეს მღვდლის ჯალაბთან დიამბევი და მამასახლისი, მწერალი და ჩაფრები გზორებით მოვიდნენ ზოგიერთა საოჯახო ჩვენების ჩამოსართმევად, რათა გამოერკვიათ ოჯახის ზარალი, რომ მკვლელისათვის დაეკისრებინათ მათი ანაზღაურება. როცა ბარბარემ დაწვრილებით გაიგო მიზეზი მათი მოსვლისა, დაფიქრდა და ძალიან დაღონდა. შემდეგ უთხრა დიამბევს:

— მართალია, მღვდელი მილიციელის ტყვიამ მოჰკლა, მაგრამ მღვდლის მოკვლა აზრადაც არავის მოუფიქროდა, რადგან მღვდელი ყველას უყვარდა. იმ მილიციელს ჩვენ არც კი ვაცნობთ; იმას მტრობით არ მოუფიქროდა; რაც მოხდა ყველა ღვინის ბრალია.

— იმას კანონი დასჯის, რადგან მკვლელი მაინც ის მილიციელია, უპასუხა დიამბევმა.

— მაგრამ იმას რომ მღვდლის მოკვლა არ უნდოდა, რათ უნდა დაჰსაჯონ? პირად თვითონ დაინაშავე არ არის. თავი გაანებეთ. იმის დასჯით მღვდელს ვერ გავაცოცხლებთ და ამიტომ მღვდლის სულს არ დავამძიმებ. მე ყველაფერი მიპატიებია...

— რასა ბრძანებთ, რასა?! მკვლელი ის არის და მაშასადამე ის უნდა დაისაჯოს. თქვენ წვრილ შვილსაც იმას შევანახებთ.

— თვითონ რა აქვს, რომ ჩემი წვრილ შვილიც იმას დააკისროთ? მე როგორც ვაგიგე, ისიც წვრილშვილი და ლარიბი ყოფილა, მამული იმას არა აქვს თურმე და დედული. მართალია, მეც ლარიბი ვარ, მაგრამ ღვთისაგან იმედი მაქვს მშვიერები არ დავიხოცებით. ის თუნდ შეძლებულიც რო იყოს, მე მაინც მას ვერაფერს დავაკისრებ, რადგან წელანაც მოგახსენეთ, ის დამნაშავე არ არის. იმას მღვდლის მოკვლა არ უნდოდა. ამიტომ მე გთხოვთ ეს საქმე მოსპოთ. მე ყველაფერი მიპატიებია. მაგისი ცოლშვილის აწიოკება მე ხეირს არ დამაყრის.

დიამბეგმა განცვიფრებით მხრები აიწია და ტუჩები აიჭქუნა; ვინ იცის თავის შეხედულებით ეს დიდებული ადამიანი ჰკვავებდ შერყუულადაც კი ჩასთვალა. ერთი კი შეხედა ბარბარეს, შემდეგ გამოეთხოვა და წასვლისას უთხრა: მაკვირვებს თქვენი გარდაწყვეტილება; ეგ დიდსულოვნებასა ჰნიშნავს. მხოლოდ თუმცა თქვენ აპატიეთ, იცოდეთ კანონი არ აპატიებს.

ჩამოართვა ხელი ბარბარეს და ყველანი წავიდნენ.

V

კეთილს და დიდსულოვანს ბარბარეს ღმერთმა მოჰხედა. თავის მხნობით და გამჭრიახობით ბარბარემ ორივე ვაჟი სახელმწიფო ხარჯით გაზარდა და შემდეგ დააქორწილა კიდევ; ქალებიც სამღვდლოებაზედ დაათხოვა. ყველას ბედნიერებას სიცოცხლითვე შეესწრო და სიკვდილამდე ჯერ-ჯერით თავის შვილების ოჯახებში ტკბილად სცხოვრობდა და მათი ბედნიერებით თვითონაც ბედნიერი იყო.

მ. იანქოშვილი.

უკანასკნელი  
გამოთხოვება

ვუძღვნი თამარ ვ—ს ასულს.


მერწმუნე, რომ მე არ მსურდა შენთვის წერილის მოწერა, არ მინდოდა უსიამოვნო მოგონებებით შენი სიმზიდე დაამერღვია, ბედნიერების წუთები მომეწამლა და სწორედ ამიტომაც იყო; რომ თავის მოკვლამდე შენთვის არაფერი მომიწერია, მაგრამ ახლა, როცა ტყვიით განგმირულს, ჯერ კიდევ რამოდენიმე საათის სიცოცხლე შემრჩენია, როცა მტანჯავი, მწვავე ფიქრები მოსვენებას არ მაძლევენ და მიახლებენ, მიცხოველებენ ახლო წარსულის მოგონებით გულის ღრმა ჭრილობებს, მე აღარ შემიძლია მეტი დუმილი და სიკვდილის კარს მყოფს სამუდამოდ შენს ნახვას დაშორებულს, მსურს უკანასკნელად გამოგეთხოვო,

უკანასკნელად მოგაგონო ხან-მოკლე, მაგრამ წარმტაცი წარსული და ჩემი გულის სევდა-ვარამი დაუფარავად გადავიშალო.

ღმერთო! რად შეგხვდით, რად გავიცანით ერთმანეთს, თუ ასე უდროოდ, ასე უწყალოდ დაგშორდებოდით? ზაფხულის თბილი დილა იდგა, თუმც უქმე არ იყო, მაგრამ თქვენი სოფლის ეკლესიის გადავანი ხალხით გაქედილი იყო. ყველა მოწყენილი, დაღვრემილი გამოიყურებოდა. ეკლესიის შუა გულში ესვენა უძრავად კუბოში ახალგაზრდა 18—19 წლის ქალი. მისი უსიცოცხლო, ფერმკრთალი სახე, დალურჯებული, ოდნავ მინამუხლი თვალები ჩემი, მწარე საყვილურით შემოგტყეროდნენ და გამოურკვეველ ტანჯვა-წვალებას იწვევდნენ შენში. მაყურებელი რაღაც უხერხულ მღვთმარობაში ვარდებოდა და თითქოს სინიღისის ქენჯნასაც განიცდიდა.

მე არ ვიცნობდი მას, არ მენახა, გავებული მქონდა მხოლოდ, რომ სიყვარულის გამო თავი მოეწამლა, და მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვაუბრებ მის ცქერას და საჩქაროდ გარედ გამოვვარდი. სკამზე ჩამოვჯექ და ხალხის სიბრაალულის ხმებს ყურს არ ვუგდებდი. შავი, მძიმე ფიქრები და მეუფლენ, შორს გამიტაცეს. ნახული სურათი მოსვენებას არ მაძლედა, ტანჯული სახე უდროოდ ჩაკლული სიცოცხლისა მელანდებოდა, თვალწინ მედგა, თითქოს თავისკენ მიმიწვევდა „ნეტა რა უნდა, რას მიყურებს ავრე?“ ვეკითხებოდი ჩემს თავს და პასუხი ვერ მიმეცა.

აი, კიდევ წესი აუგეს, გარედ გა-



მძიმე არტილერია



ცეკვა — ნახტი ვლ. ს. — ერისთავის „მერანიდან“

შოასვენებს, მიწაზე დადგეს კუბო და გაისმა წკრიალა, გრძობით აღსავსე ხმა, რომლის პირველი სიტყვები ხალხის ჩოჩქოლის გამო თუმც ვერ გავარჩიე, მაგრამ ღრმად ჩასწვდა, ჩაესო გულს და მიიტიტაცა. ხალხი გავარღვიე და დაგინახე კუბოსთან მდგომი ცხარე, მღელვარედ მოლაპარაკე. ოხ, რა რიგად მომხიბლა, რა ღრმად და წაუშლელად ჩამრჩა ხსოვნაში შენი სიტყვები...

II

„...დიახ, თქვენ კარგად იცით, თუ რამ გამოიწვია სიკვდილი ჩვენი სიცოცხლით და ჯან-ლონით აღსავსე მშენიერი ღიზასი. თქვენ უწყით, თუ რამ დააზრო და ჩააქნო ასე უდროოდ მისი წარმტაცი, ახლად გაფურჩქნელი სიცოცხლე, რამ დაუბნელა და მოუ-სპო სამუდამოდ ცხოველყოფელი მზის სხივების ხილვა: უსინდისო, ანგარებით გატაცებულმა ყმაწვილმა, ფუუ, სირცხვილო, ისიც სტუდენტმა, გააბა სიყვარულის ქსელში გამოუ-ცდელი, ნდობით აღსავსე ქალი, აუნ-თო გულში ჩაუჭრობელი ცეცხლი და ზოლოს, როცა ღიზას არ აღმოაჩნდა იმდენი მზითვი, რამდენსაც მოითხოვდა ეს გრძობით და სულით მდაბალი ვაჟბატონი, დაუნდობლად, უსინდისოთ მიატოვა! თუ რა სამწუხარო, რა გუ-ლის ამღვრევი შედეგი მოჰყვა მის ყოვლად სამარცხვინო მოქმედებას დღეს ჩვენ ყველანი ნათლად ვხედავთ. მოშორდა, სამუდამოდ მოსწყდა ჩვენს ხილვას. მშენიერი, უმანკო

ლიზა! კვლავ ველარ მოვისმინებ მის ხმას, ველარ დავსტკებებით მისი მხიარული, ცხოველყოფელი სიცილ-კისკასით, ვერ დავინახავთ მას — ცქრიალას და დაუდგრომელს, ვით გაზაფხულის პეპელა, და ამასთანავე სათნოს და ნარნარს, ვით ის ნაზი ყვა-ვილი, რომელსაც თავს დაფარფატებდა ეს პეპელა! დიახ, მოგვშორდა, სამუდამოთ მიიძალა ჩვენგან საყვარელი, ძვირფასი ღიზა, ხოლო მიზეზი ამ სამწუხარო, გულის მომკვლელ მოვლენისა ცოცხალი არის და უკვე სხვა-სთან — უფრო მდიდართან — შეუღლებული თავისუფლად, წარბ-შეუხრელად ეზიარება ცხოვრების ნეტარებას. და ნუ თუ ყოველივე ამის შემდეგ აღმოჩნდება კიდევ ჩვენში რომელიმე ისეთი, რომელიც სირცხვილად, თავისი პიროვნების და თავმოყვარეობის დამცირება-გათახსირებათ არ ჩასთვლის მასთან გავლას, დალაპარაკებას?! ნუ თუ თვითვე ჩვენთაგანი მას ამის შემდეგ ზიზლით და უზომო მძულვარებით არ შიხედავს?.

რად მოვისმინე, რათ მოვიხიბლე შენი სიტყვებით? რად არ გავიქეც შორს, შორს სადმე, რომ შენი მღელვარე, აღვზნებული ხმა სულში არ ჩამსწვდომოდა და არ გავეტაცე? რად არ დავბრმავდი, რომ შენი მგზნებარე, ცეცხლივით მღელვარე ღრმა-ზღვა თვალები არ დამენახა?! რად, რად!! უძრავად ვიდექ და აღტაცებული, თავშეუკავებელი აღფრთოვანებით გამსჭვალული გჭვრეტდი, თვალს ვერ

გაშორებდი. რა იქნა სევდა, გამოურკვეველი ბოღმა-ვარამი სულს რომ მიხუთავდა? რა იქნა განაწამები, მტანჯველი სახე ახალგაზრდა ქალისა, რომ არ მოშორდებოდა? გაქრა, სადღაც შორს, შორს გადიქარვა და მათ ნაცვლად სიხარული, აღფრთოვანება და შენი ცეცხლივით ანთებული სხივმფენი სახე გულს ჩაისახა, ღრმად აღიბეჭდა. თვალმომჭრელი, ძლიერი სინათლე შემოიქრა უეცრად ჩემს სიბნელით მოცულს სულში და შიგ მომწყვდელი სუსტი, ფერმკრთალი მცენარე — ჩემი გული, დიდი ხნის სითბოსინათლის მომნატრე, ცხოველყოფელი სხივით გაათბო, გამოაცოცხლა და თავისკენ მიიზიდ-მიიტაცა.


III

გაგეცანი. მთელი ორი თვე ერთად დავყავით. ბედნიერი და კმაყოფილი ვიყავ... რა ვიცოდი, რას წარმოვიდგენდი, თუ ასე უდროოდ ჩამხმადებოდა წუთი — სოფელი?! იცი, როცა განვილილს სიამე-ნეტარებას მოვიგონებ და ეხლანდელ მდგომარეობას შევადარებ, ძალაუნებურად ერთი ნახული ბუნების სურათი მაგონდება. გაზაფხული დგებოდა. ცივი ზამთრის ნაკვალევი დედა-მიწას კიდევ აჩნდა. ბუნებას ოდნავ გადაეძრო ბუმბულის თბილი საბანი დასიცივით აქანკალე-ბული, შავი ფიჭვებით გულ-დაღარული უჩივლოთ, უნდოდ უყურებდა. მაგრამ უეცრად მშენიერი, თბილი დარები დაიჭირა. მზემ სრულიად გადახადა საბანი ჯერ კიდევ ძილში მბორგავ დედამიწას, ალერსით გადაუშალა დატანჯული, დასევდიანებული მკერდი და თვისი ძლიერი, სიცოცხლის მომნიჭებელი სხივნი ზედ უხვად დააფრქვია. შეკრთა, შეინძრა დედა-მიწა, გათბა, ატოკდა მისი ცივი, უნდომი გული და კვლავ იმედებ-გაცხოველებული, მხურვალ მზის ხილვით დატყვევებულ-გატაცებული, მისი სხივებით დაკოცნილ-გაბრუებული ხარბად, თავშეუკავებლად დაეწაფა სითბო-სინათლეს და გულის სიღრმეში ჩამალული ნორჩი... კვირტები მზის სატრფიალოდ-სათაყვანოდაც კი ამოუშვა... გაიშალნენ, გაიფურჩქნენ ათასგვარი ყვავილები, თვალუწვდენელი ფართე ველ-მინდორი ამწვანდა, აფერადდა, სიცოცხლის მწვანე ფერადებით შეიმოსა მიბნედილი მთა და გორაკები. ახმაურდნენ, აჩუხჩუხდნენ წყარო-ღეღეღები და გაისმა მხიარული კიკიკი გაზაფხულის მახარობლისა — საყვარელ მერცხლისა. ყველგან სჩქე-

ფდა და სდულდა სიკვდილი წვეთი-წვეთი სამხიარულოდ, სამეჯლისოდ ემზადებოდა, რომ უეცრად დაჰბერა მკაცრმა ჩრდილოეთის ქარმა, შავმა ღრუბლებმა გადაეხვია — შთანთქა მზის ცხოველი სითბო-სინათლე, დაჰკრა ულმობელმა სუსხმა და ის, რაც სასიცოცხლოდ, სამხიარულოდ იყო გამზადებული, ის, რაც თვალს ხიბლავდა და სულს გიტკებოდა, ის, რაც ბედნიერებას და ნეტარებას ეპირებოდა გაბრდებოდა დაუნდობლად ჩასწვდა, სიცოცხლეს გამოასალმა. შესწყდა მხიარული ჭკიკიკი მერცხლისა, გაიყინა, შეჩერდა ნაკადთა ჩუხჩუხი და დანადგლიანდნენ თვალუწვდენელი მინდორ-ველნი, ჩამხმარ-ამომწვარ ყვავილ-მცენარეთ შემეყურენი. გაირინდნენ, მოიღუშნენ მთა-გორაკებიც. და იქ, სადაც სიცოცხლე მრავალ-ფეროვანად, წარმტაცად იშლებოდა, სჩქეფდა — იქ დამყარდა მკვდარი, სულის შემშუთველი სიჩუმე, სიცილიერე და მოსაწყენი, სევდის მომგვრელი ერთფეროვნება...

განა მეც ასე არ დამემართა?! ბავშვობიდანვე სიყვარულს მოკლებული, სულით ობოლი და მარტოდ მყოფი, ცხოვრების მწარე ხვედრით მრავალგზის დატანჯულ-განაწამები უნდოდ შევსცქეროდი, გაურბოდი ყოველივე ბედნიერებას; არაფერი არ იზიდავდა, არ იტაცებდა ჩემს გულს და გრძობებს, მაგრამ შეგზვდი... ვით მხურვალე მზემ, შენ დამაფრქვიე სხივები და მეც მოვიხიბლე; საოცნებო, სანეტარო მოჩვენებას გამოგედევნე, უკუ ვავდე სევდა-ვარამი, თვალზე მუდმივი ცრემლები შევიშრე და სასიცოცხლო, სამხიარულო ფრთები ავისხი. ღარიბს, უთვისტომოს და სულით ობოლს, მაგრამ ნიქის და წმინდა გრძობათა მფლობელს, მხოლოდ შენ გამომიწოდე ალერსით ხელი, შენ შემიყვარე და ბედნიერებისაკენ გზა მიმიითითე, რომ მერმედ... ოხ, რად, რად ჩამომშორდი? რად მიმიყვანე, რად მიმატოვე ჯადოსნურად მიმზიდვილ უფსკრულის პირად, რატომ გაშალე ჩემს გულს ყვავილი, თუ ასე ულმობლად მოსწყვეტდი და შორს გადისროდი? რათ ამიხილე, რათ დამინახე ცხოვრების მშენიერება, თუ თვალებს ამომთხრიდი და ბნელ წყვდიადში გამახვევდი? რად, რად?!

პატარა გოგი. (შემდეგი იქნება)



ალეგორია.



— შინიდან გარედ ველარ გავსულვარ!  
— ალბად ქარები თუ გავიჩნდა!  
— რის ქარები!.. მითვლიან ფულიო, არა და მოგიტაცებთო!